

ხელშეკრულება საქონლის სახელმწიფო
შესყიდვების შესახებ №251

„31“ აგვისტო 2015წ.

ჩვენ ქვემოთ ხელის მომწერნი: ერთის მხრივ ახმეტის მუნიციპალიტეტის გამგეობა გამგებლის მოველობის შემსრულებელი ვანო ნასყიდაშვილის სახით შემდგომში წოდებული "შემსყიდველი"

და მეორეს მხრივ შპს „ტექნოვინი“

/ორგანიზაცია, საწარმო, მისამართი/

ხელმძღვანელის მურმან ჭარელიძის სახით, შემდგომში წოდებული "მიმწოდებელი", ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

ხელშეკრულების საგანია: დიდი ზომის ნაგვის კონტეინერი (ურნა), დუისი 10ცალი -4200 ლარი, ქვ. ხალაწანი 4ცალი-1680 ლარი, ალავერდი 2 ცალი-840 ლარი, კოლოთო 2 ცალი-840 ლარი, ახშნის ველები 2 ცალი 840 ლარი. (კოდი-44600000, სოფლის მხარდაჭერის პროგრამა.)

/შესყიდვის ობიექტის სრული დასახელება/

ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების საფუძველზე სახელმწიფო შესყიდვის განხორციელება გამარტივებული მეთოდით.

2. ხელშეკრულების ობიექტი

" მიმწოდებელი "ვალდებულია გადასცეს "შემსყიდველს" დაკვეთილი საქონელი. /საქონლის დასახელება, რაოდენობა, ხარისხი/ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

3. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები და ადგილი

3.1. საქონლის მიწოდების თარიღად ითვლება 31.08.2015წ.-28.10.2015წ

/რიცხვი, თვე, წელი/

3.2. საქონლის მიწოდების ადგილი ქ. ახმეტა. / მისამართი/

4. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

4.1. შესყიდვის ობიექტი, ან მისი ნაწილი (ეტაპი) ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

4.2. შესყიდვის ობიექტის (მისი ნაწილის, ეტაპის) მიღების და საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს "მიმწოდებელი"

4.3. "შემსყიდველი" ვალდებულია ოპერატიულად, წერილობითი სახით აცნობოს "მიმწოდებელს" საბოლოო შემოწმების შედეგები დაწუნებული მომსახურების რაოდენობის და წუნდების მიზეზის მითითებით.

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1. " შემსყიდველი " ვალდებულია გადაუხადოს "მიმწოდებელს" შეთანხმებული ფასი, მიიღოს ნაყიდი ქონება.

5.2. "შემსყიდველს" უფლება აქვს უკან დაუბრუნოს "მიმწოდებელს" მიწოდებული საქონელი, თუ მისი ხარისხი არ შეესაბამება სტანდარტებს.

5.3. "მიმწოდებელი" ვალდებულია: გადასცეს "შემსყიდველს" ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონელი დადგენილ ვადებში, დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

5.4. "მიმწოდებელს" უფლება აქვს: მოსთხოვოს შემსყიდველს ხელშეკრულებით შეთანხმებული ფასი.

6. ხელშეკრულების საერთო ღირებულება

ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს 8400 (რვაათას ოთხასი) ლარი. (ფასდათმობების, გადასახადების, ტრანსპორტირების, დაზღვევის და სხვა ფაქტორების გათვალისწინებით)

7. ფ ა ს ე ბ ი

ამ მუხლში აისახება ის შემთხვევები, როდესაც დასაშვები იქნება ხელშეკრულებაში დაფიქსირებული ფასების გადასინჯვა (მაგ. ინფლაციის მაღალი დონე, სავალუტო კურსის მნიშვნელოვანი ცვლილება, საგადასახადო რეჟიმის შეცვლა და სხვა). გარდა ამისა, უნდა განისაზღვროს ხელშეკრულების ფასის ცვლილებების მაქსიმალურად დასაშვები ზღვარი და ყოველ კონკრეტულ გარემოებასთან მიმართებაში ცვლილებების გაანგარიშების წესი.

8. ანგარიშსწორების პირობები

8.1. ანგარიშსწორების ფორმა იქნება: გადარიცხვა

8.2. ანგარიშსწორების ვადა (გრაფიკი) საქონლის მიღების შემდეგ (მაგ.

საქონლის გადატვირთვის შემდეგ, საქონლის მიღების შემდეგ)

წინასწარი ანგარიშსწორება გარკვეული პროცენტით (ამ შემთხვევაში "მიმწოდებელმა" უნდა წარმოადგინოს საავანსო თანხის შესაბამისი ოდენობის გარანტია). ანგარიშსწორება განვადებით. შემსყიდველის ფაქტიური დაფინანსების მიხედვით ან სხვა დასაშვები ანგარიშსწორების გრაფიკის განსაზღვრა სხვადასხვა ვარიანტების კომბინირებით.

8.3. ანგარიშსწორების განხორციელებისათვის მიმწოდებელმა უნდა წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტები სასაქონლო ზედნადები.

/ანგარიშ-ფაქტურა, მიღება - ჩაბარების აქტი და ა. შ./

9. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისას

9.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადების გადაცდენის შემთხვევაში ყოველი დაგვიანებული დღისთვის "მიმწოდებელს" ეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების ფასის 0,1 პროცენტის ოდენობით.

9.2. იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 10 პროცენტს, "შემსყიდველს" უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.

10. ფორს-მაჟორული სიტუაციები

10.1. მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთ ვალდებულებათა სრულად ან ნაწილობრივ შესრულებაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორცაა წყალდიდობა, მიწისძვრა და სხვა მოვლენები, აგრეთვე ომები და სხვა საომარი მოქმედებები, ექსპორტისა და იმპორტის აკრძალვა, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე.

10.2. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწვეს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.

10.3. თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გრძელდება 3 თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება კომპენსაციის მოთხოვნის გარეშე.

10.4. მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება, დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

II. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

11.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ყოველდღიურ კონტროლს ადგილზე "შემსყიდველის" მხრიდან ახორციელებს ახმეტის მუნიციპალიტეტის გამგებლის მიერ შექმნილი ინსპექტირების ჯგუფი.

12. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

12.1. მხარეთა შორის წარმოქმნილი ყველა დავა გადაწყდება ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

12.2. თუ მხარეებს შორის შეთანხმება ვერ მოხერხდა, დავა გადაწყდება სასამართლოს წესით.

13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

13.1. ამ ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელის მოწერის დღიდან და ძალაშია 2015 წლის 30 ნოემბრამდე.

/მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებამდე, თუ შეუძლებელია მითითებული იქნეს კონკრეტული ვადა/

14. სხვა პირობები

14.1. ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მას შემდეგ, რაც იგი წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

14.2. ხელშეკრულებით დაფიქსირებული ფასის ყოველი შეცვლა მხარეების მიერ ფორმდება დოკუმენტალურად.

14.3. შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება- ჩაბარების აქტით, ხელშეკრულების მხარეების უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.

15. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

„შემსყიდველი“

„მომწოდებელი“

ახმეტის მუნიციპალიტეტი
გამგეობა, ჩოლოყაშვილის ქ.№49
ს/ნ-224631165 ს/ს „ლიბერთი
ბანკის“ ახმეტის ფილიალი
ბ/კ-LBRTGE22
ა/ა-GE67LB0120113462310000
ტ- 599 857 877

შპს „ტექნოვინი“
ქ. ახმეტა ყაზბეგის ქ. 5
ს/ნ-424612208
ს/ს „საქართველოს ბანკი“
ბ/კ-BAGAGE22
ა/ა-GE74BG000000907669800
ტ-558 590 590

„შემსყიდველი“



/ვანო ნასყიდაშვილი/

„მომწოდებელი“

/მურმან ჭარელიძე/